ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 232

"8" სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. №86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.002.035) 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის" (ს/ნ: 202899612) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დავით აღმაშენებლის გამზირის №86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის" (ს/ნ 202899612) იჯარით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №20.935.1152 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: მარჯანიშვილის მოედანზე/ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის № 86-90-ის მიმდებარედ არსებულის 634 კვ. მ. ტერიტორიიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.16.05.002.035) 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის" (ს/ნ: 202899612) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 11000 (თერთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე